

Von den Georgianen die auch wolken cristen syn.

Doch mee ist eyn ander volck yn orient weit von iherusalem w
nende. des herschafft sich strecket bis zu de bergen Caspyos gen
vnd ist gar eyn stryckbar volck vn starck vnd vil ritterschafft

ენა ღა

კულტურა

Language and Culture

ende. auch groß weit ynn stryck vermügende. also
persy. medi vnd Assurij. yr anstosser oder
ten. vnd wie wol dis volck vff alt syten
Bign. noch dan forchte es die selben nit. sunder es wurde von allen de
selben geforchter vn setten geleydiger. Sie heisse
Georgio dem heiligen ritter den sie fur eyn
furer halten. vnd eren ynen mit grosser an
wan sie zu veld vff zyehen yn stride. Von disen lütchen wonen vil zu i
rusalem. vil heiliger stett yn habende. doch besunder den berg Caluar
vnd das loch dar yn das cruz stund yn eym velsen der auch cyh do cr
stus am cruz verschyede. By dem selben ortz haben sie ein altar vn ge
meynlichen eynen von den yren dar ynne verslossen denen zu bewaren
Dar zu haben sie yn gebrauch die kyrck der heiligen engel. do erwan da
hus Anne des bischoffs stund. dar yn vnser herr vo de öberg zum erst
ward gefüret ꝛc. Item dise Georgiani volgen nach den kriecheschen
yn allen yren artikelen vn yträumen auch yn den sacramenten. dem nach
sie eken als wol scismatici oder vngedersam der Römischen kyrcken syn



thun. Die Georgianischen edelt frauwen zyezen auch vff yn stryck vnd
gebrauchen weer yn maß wie die Amazonen. frauwen also genat. die eyn
eygen land ynn haben. Die menner diser nacionen zyezen yr kerck vnd
haer. vn lassen es nimer abscheren. Vnd tragen huch vff yren haubten
von ma
ley farwe. yn den gottlosen ampren vn geschrieffen bru
eben sie kriechesch zungen vn sprach. aber siust die sarracenisck oder Cho

თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის
ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ენა
და
კულტურა

LANGUAGE
and
CULTURE

ფილოლოგიური სერია
№2, 2005



თბილისი

მთავარი რედაქტორი:
ი. მოსიძე

სარედაქციო კოლეგია:
ნ. ასათიანი,
ჰერბერტ არლტი (ვენა, ავსტრია),
ჰელმუტ ბირკჰანი (ვენა, ავსტრია),
თ. გამყრელიძე,
ვილჰელმ გრისჰაბერი (მიუნსტერი, გერმანია),
ზ. კიკნაძე,
ნ. კირვალიძე,
გ. ლებანიძე (მთ. რედაქტორის მოადგილე),
ა. ლომთაძე,
ი. ფლენტი,
შ. შაბურიშვილი,
ი. კოკაია (პ/მდივანი).

Editor-in-chief

Y. Mosidze

Editorial board:

N. Asatiani,
Herbert Arlt (Vienna, Austria),
Helmut Birkhan (Vienna, Austria),
Th. Gamkrelidze,
Z. Kiknadze,
Wilhelm Grieshaber (Münster, Germany),
N. Kirvalidze,
G. Lebanidze (Vice editor-in-chief),
A. Lomtadze,
I. Dzgenti,
Sh. Shaburishvili,
I. Kokaia (secretary).

ISSN 1512-1364

© თბილისის ი.ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2005

ს ა რ ჩ ე ვ ი

ბაქრაძე მანანა სინარულის ენობრივ-კულტურული ლოგოკონცეპტი როგორც გერმანულენოვანი ლოგოსფეროს კომპონენტი და მისი კვლევის თეორიულ-მეთოდოლოგიური ასპექტები	5
Bachtadse Dali ZU EINIGEN TYPOLOGISCHEN WESENSZÜGEN DES DEUTSCHEN UND GEORGISCHEN ...	10
ბესელია თამარ დიფთონგების, ტრიფთონგებისა და ჰიატუსიან შემერთებათა ფონეტიკურ-ფონოლოგიური სტატუსის შესახებ მსკანურ ენაში	17
გამისონია ხათუნა ინგლისური ანდაჯა როგორც სოციალური და ინდივიდუალური კომუნიკაციური აქტი	22
გეწაძე მაია ტაქსონომიური სახელადი ფრაზების სემანტიკა და მათი იდენტიფიკატორული თავისებურებანი თანამედროვე ინგლისურ ენაში	28
Kote Gogolashvili CARD-GAME OF WORDS AND IDEAS DISCOURSE ON PHILOSOPHICAL SOLITAIRE	33
გოგრიჭიანი მაკა ცხოვრების, სიჭმრისა და ლიტერატურული შემოქმედების პრობლემა ბ.თრაკლის კოეფიკაში	37
დობტურიშვილი შალა არგუმენტაციის როგორც ფენომენი და კონცეპტი კვლ და ახალ რიტორიკაში	42
ზეინაბიშვილი ია მხატვრული თარგმანი როგორც შემოქმედება და მთარგმნელობითი სტილი ...	51
თევდორაძე ნინო მხატვრული კომუნიკაციის დონეებრივი სტრუქტურა და შინაგანი მეტყველება	62
თურმანიძე დონარა ანთროპოცენტრისტულად ორიენტირებული ადინქტიური ნოვინაცია და მისი ტიპოლოგია	67
Лордкипанидзе Ирина ПРОБЛЕМА СИСТЕМАТИЗАЦИИ СЕМАНТИЧЕСКИХ СРЕДСТВ СОЗДАНИЯ ОБРАЗНОСТИ ФРАЗЕОЛОГИЗМОВ С НОМИНАЦИЕЙ КОНЦЕПТА ДОБРА И ЗЛА (на материале русских фразеологизмов)	71
მამალაძე-ანთელავა ლიკა კულტურათა დიალოგი მე-20 საუკუნის ქართულ ფერწერაში (ფიროსმანის „ქალი ლუდის კათხით“ და პიკასოს „აბსენტის მოყვარული“)	77
მახათაძე ცისანა სოციოლინგვისტიკისა და გენდეროლოგიის ურთიერთმიმართების პრობლემები	82
Mosidze Juri “DIE GLEICHZEITIGKEIT DES UNGLEICHZEITIGEN” ALS DENKPARADIGMA UND DAS PROBLEM DES NEUEN UNIVERSALISMUS IN DER POSTTOTALITÄREN UNIVERSITÄTSBILDUNG	86

ოკუჯაუა ანა
 შინაგანი მონოლოგი როგორც ენობრივ-კულტურული ფენომენი
 და მისი ადგილი მეტყველების ზოგად სტრუქტურაში 89

რამიშვილი ფატი
 კულტურული სხვაობანი თარგმანში 96

სინჯიკაშვილი ინგა
 ქართულ და გერმანულ ეკონომიკურ ტერმინთა (სახელთა)
 სიტყვაწარმოებითი სუფიქსების შვიპირისპირებითი ანალიზი 101

ტატიშვილი ელენე
 აღწერა როგორც სამეტყველო-კომპოზიციური ფორმა და მისი მიმართება
 მხატვრული კულტურის კარადიგმულ დინამიკასთან (პრობლემის დასმისთვის) ... 108

ტაბაღაძე სოფიო
 ფელეტონი როგორც საბაზეთო ზღოკი და GLOSSE როგორც ამ ზღოკის
 სტრუქტურული კომპონენტი თანამედროვე გერმანულენოვან კრემსაში
 (Glosse-ს როგორც ფელეტონური ჟანრის გენეზისისა და სტრუქტურის საკითხისათვის) 114

ქაცანაშვილი თამარ
 კრემდისტიკის ლოგიკურ - სემანტიკური ცნება და მის
 არგუმენტთა ტიპოლოგია (ფრანგულ ნაცვალსაზელთა მასალაზე) 117

ქრისტინაშვილი ეკატერინე
 მნიშვნელობის აზრობრივი აღწერისა და ანალიზის ინსტრუმენტები
 რიტორიკულ ტროპებში (გერმანული და ქართული ენობრივი მასალის საფუძველზე) ... 123

ქსოურელი ემა
 თანამედროვე სტილისტიკა და მისი ბანვიტარების კერსკამტივები
 (მოკლე მიმოხილვა) 131

ყიფიანი ირმა
 ზოონიმთა შივცველი გერმანულენოვანი ფრაზეოლოგიები
 როგორც ენობრივ-კულტურული ფენომენი 136

შაბურიშვილი რუსუდან
 იმპლიციტურობის დეკოდირების ლინგვოსტილისტური
 და ლინგვოკულტურული საშუალებები 142

შაბურიშვილი შოთა
 ცნობიერება და ინტერპრეტაცია: დანაკარგები ვერბალიზაციის დროს 150

შელია მადონა
 “პარონიმული ატრაქცია” მხატვრულ ლიტერატურაში 156

ჩიგოგიძე ერეკლე
 სიმბოლური ნომინაცია და მისი ტიპოლოგია ნეორომანტიკულ
 ზღაპრულ ნარატივში (პ. ჰესეს ზღაპრების მაგალითზე) 160

ცქიტიშვილი ნინო
 მსკანურ ზმნურ ფორმათა აქცენტური სქემების პრობნოზირება 168

ჭიალაშვილი ეკა
 მმ-20 საუკუნე როგორც კულტურული ეკოპა და თანამედროვე ლირიკა 174

ჯაში ქეთევანი
 XX საუკუნე და ლემსიკური ცვლილებები თანამედროვე ფრანგულ ენაში 179

როლანდ ბურჭულაძე
 ზოგიერთი კველი ეგვიპტური ელემენტი შუა საუკუნეების ევროპის
 ლინგვოკულტურაში 183

ნინო კირვალიძე
 ანთროპონიმთა მეტაფორიზაცია როგორც ენობრივ-კულტურული
 ფენომენი და მათი ინფორმაციულობა ტემსტში 187



ნინო კირვალიძე

ანთროპონიმთა მეტაფორიზაცია როგორც ენობრივ-კულტურული ფენომენი და მათი ინფორმატულობა ტიქსტში

ანთროპონიმები (ბერძ. anthropos - ადამიანი, onyma - სახელი) ანუ ინდივიდის აღმნიშვნელი საკუთარი სახელები ენის ლექსიკურ-სემანტიკურ სისტემაში ცალკე კლასად გამოიყოფა ნიშნობრივი თავისებურებების საფუძველზე(3). ანთროპონიმები მოკლებულნი არიან კონცეპტუალურ მნიშვნელობას, რის გამოც მათ ძირითად დანიშნულებას წარმოადგენს პიროვნებათა იდენტიფიცირება და დიფერენცირება მათი უბრალო სახელებით, რაიმე თვისობრივი დახასიათების გარეშე. საკუთარ სახელთა ნომინაციური ფუნქცია კოდს მოგვაგონებს, რითაც ისინი საზოგადო სახელებს უპირისპირდებიან როგორც მოუქნელი დესიგნატორები (ს. კრიპკეს ტერმინოლოგიით - "rigid designators". იხ.: 4, 59), რომელთაც იდენტიფიკატორული ფუნქციის განხორციელება შეუძლიათ მხოლოდ და მხოლოდ გაცნობის სამეტყველო სიტუაციაში, კომუნიკანტთა სოციო-კულტუროლოგიური ფონური ცოდნის ან კონტექსტური ინფორმაციის საფუძველზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, მეტყველი სუბიექტის მიერ მსჯელობის საგნის შემოყვანა საკუთარი სახელით წარმოქმნის გაუგებრობას ადრესატის მხრიდან და დამატებითი ანთროპოლოგიური მონაცემების მიწოდების გარეშე მისთვის შეუძლებელი გახდება რეფერირებული პიროვნების იდენტიფიკაცია.

ანთროპონიმთა მეტაფორიზაცია ასოციაციურ კავშირებზე დაფუძნებულ საგანთწვდომის ერთ-ერთ, სტილისტურად მარკირებულ ვერბალიზებული სახეს წარმოადგენს, რომელიც სამყაროს მიფოპოეტური ხედვითა და ადამიანის ესთეტიურ-კოგნიტური აზროვნების ინდივიდუალურობით არის განპირობებული. იგი მიზნად ისახავს მსჯელობის საგნის დახასიათებას ან იდენტიფიკაციას მისი გაიგივების გზით რომელიმე სხვა პიროვნებასთან, რომელთანაც მას ობიექტური კავშირები არ გააჩნია და რომელიც მხოლოდ ავტორის მიერ დანახულ მათ საერთო თვისებებს ეფუძნება. შედეგად იქმნება რეფერირებული პირის რეალურისგან განსხვავებული სრულიად ახალი ხატი, რომელიც მეტყველი სუბიექტის

(ავტორის) ესთეტიურ-კოგნიტური და აქსიოლოგიური მოღუსის მატარებელია. აქედან გამომდინარე, მისი ინფერენცია დამოკიდებულია კონტექსტზე და ადრესატის სოციო-კულტუროლოგიურ ფონურ ცოდნასა და ინტელექტუალურ დონეზე.

ანთროპონიმთა მეტაფორიზაცია (ბერძნ. metaphora - "გადატანა") თან სდევს მათი ლინგვისტური სტატუსის შეცვლას, რის შედეგადაც ისინი საზოგადო სახელის რანგში გადადიან. რას გულისხმობს ეს? კაცობრიობის ისტორიაში ბევრი იყო ისეთი პირი — ბიბლიური, მითოლოგიური თუ რეალურად არსებული, რომელთა სახელიც სამუდამოდ შემორჩა მენსიერებას როგორც სიბრძნის, სილამაზის, სიძლიერის და ა.შ. სიმბოლო. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ანთროპონიმთა მიერ სახელებული ამა თუ იმ პიროვნების ინდივიდუალური თვისებების განზოგადებასთან, რის შედეგადაც შესაბამისი საკუთარი სახელები იძენენ კონცეპტუალურ მნიშვნელობას და მასთან ერთად ზოგადი სახელის ისეთ თვისობრივ მახასიათებლებს, როგორც არის ინფორმატულობა და კონოტაციური დატვირთულობა. აქედან გამომდინარე, მეტაფორიზებული ანთროპონიმები ხასიათდებიან ფუნქციური სინკრეტიზმით, რადგან იდენტიფიკაციის გარდა, ისინი მონაწილეობენ პრედიკაციის აქტში.

ემპირიული მასალის ანალიზი შესაძლებლობას იძლევა დავასკვნათ, რომ ანთროპონიმთა მეტაფორიზაცია თავდაპირველად რეალიზდება პრედიკაციის აქტში, ხდება რა მსჯელობის საგნისათვის რაიმე თვისების მიწერა მისი სხვა პიროვნებასთან გაიგივების გზით. მაგალითისათვის განვიხილოთ ფრაგმენტი ო. ჰაქსლის მოთხრობიდან "პატარა არქიმედი"(8), სადაც მთავარი მოქმედი პირის თვისობრივი დახასიათება ხორციელდება ასოციაციურ კავშირებზე დაფუძნებული ანთროპონიმთა მეტაფორიზაციით:

"I have never seen a child more patient, tolerant and untyrannical than Guido. He was a thoughtful child, given to brooding and sudden abstractions. One would find him sitting in a corner by himself, plunged in the profoundest meditation.

Carlo and his children found my gramophone. Guido was immensely interested. And he liked not the cheerful dance tunes, but the genuine stuff. Wagner was among his likes; so was Debussy. Mozart overwhelmed him with delight. ...

'I think he has such a gift,' I said, 'I've never met with a child of that age. We're thinking of hiring a piano for him to learn on. ...

In due time the piano arrived. After giving him the minimum of preliminary instruction, I let Guido loose on it. He began by picking out for himself the melodies he had heard, reconstructing the harmonies in which they were

embedded. But what was more interesting to me was that he had begun to make up little pieces on his own account. Most of them were canons. He had a passion for canons. ...

'He is hardly a Mozart,' we agreed, as he played his little pieces over.

He was not a Mozart. No. But he was somebody, as I was to find out, quite as extraordinary. It was one morning in the early summer that I made the discovery. I was sitting in the warm shade of our balcony, working. I got up from my chair and looked over the balustrade to see what the children were doing. I expected to catch them dabbling in water, making a bonfire, covering themselves with tar. But what I actually saw was Guido, with a burnt stick in his hand, demonstrating on the smooth paving-stones of the path, that the square hypotenuse of a right-angled triangle is equal to the sum of the squares of the other two sides. A minute later Guido had finished both his diagrams.

'There!' he said triumphantly and straightened himself up to look at the other children. **'Now, I'll explain.'**

And he proceeded to prove the theorem of Pythagoras - not in Euclid's way, but by simpler and more satisfying method. ...

The theorem of Pythagoras seemed to explain for me Guido's predilections. **It was not an infant Mozart** we had been cherishing; **it was a little Archimedes** with, like most of his kind, an incidental musical twist. ..."

(Huxley A., "Young Archimedes")

ილუსტრირებული ტექსტობრივი ფრაგმენტი შვიდი წლის ბიჭს, იტალიელი გლეხის შვილს, გვიღოს ეძღვნება. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ მთელ მოთხრობაში ამ პატარა ბიჭის თვისობრივი დახასიათება და მის გარშემო დატრიალებული ამბები აღწერილი. მოცემული ნაწყვეტი ორ ლოგიკურ ნაწილად იყოფა. პირველ ნაწილში თხრობა ბიჭუნას მუსიკალური ნიჭის ირგვლივ მიმდინარეობს, რა დროსაც ავტორი გამოიყენებს მეტონიმიურ ანთროპონიმებს იმ კლასიკოს კომპოზიტორთა ნაწარმოებების აღსანიშნავად, რომლებიც გვიღოს მუსიკალურ ნიჭსა და გემოვნებას წარმოაჩენენ. ავტორი ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ ბიჭი საცეკვაო მხიარული მელოდიებით კი არ იყო გატაცებული, არამედ ვაგნერის, დებუსის და მოცარტის მუსიკით. გვიღოს მუსიკალური ნიჭის დახასიათებას ავტორი ამთავრებს მეტაფორული ფრაზით — **"He is hardly a Mozart"**, რომელშიც ბიჭუნას თან აიგივებს და თან განასხვავებს მოცარტისგან. ბუნებრივია, რომ მსჯელობის საგნის გაიგივება მოცარტთან, ერთი მხრივ, კონტექსტით არის განპირობებული; ხოლო მეორე მხრივ კი, ავტორის კულტუროლოგიური ხასიათის ფონური ინფორმაციით მოცარტის ბავშვობაზე, რომელიც განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭის გამო ვუნდერკინდად იყო აღიარებული.

ილუსტრირებული ტექსტის მეორე ნაწილი იგივე მეტაფორული ფრაზის კონტრასტული გამოყენებით იწყება — **"He was not a Mozart. No. But he was some-body quite as extraordinary."** შესაბამისად, ტექსტის მომდევნო ფრაგმენტში უკვე ის ინფორმაციაა მოცემული, თუ რა სხვა ნიჭი გააჩნდა პატარა გვიღოს. მოთხრობელი, რომელიც ნაწარმოების ერთ-ერთ პერსონაჟს წარმოადგენს, მალე აღმოაჩენს, რომ ბიჭუნა განსაკუთრებული მათემატიკური ნიჭით იყო დაჯილდოებული. იგი ცოცხალ ფერებში აღწერს ეპიზოდს, როდესაც გვიღომ, ბილიკის ფილაქანზე დიაგრამების დახატვით, შეძლო პითაგორას თეორემის დაამტკიცება გაცილებით მარტივი მეთოდით, ვიდრე ვკლიდემ გამოიყენა. ბიჭის მათემატიკურ ნიჭზე მსჯელობაც კვლავ შევასებთი მეტაფორული ფრაზით მთავრდება — **"It was not an infant Mozart; it was a little Archimedes with an incidental musical twist."** გვიღოს გაიგივებისას არქიმედთან კვლავ ხაზი ესმება მის ბავშვურ ასაკს, რა მიზნითაც ავტორი მეტაფორიზებული ანთროპონიმების აქტუალიზებას ახდენს შესაბამისი თვისობრივი ზედსართავებით: *infant* და *little*. მოცემულ ანთროპონიმთა მეტაფორიზაციის შედეგად ავტორი ქმნის გვიღოს ახალ, მისეულ ხატს, რომლის მიღმაც უბრალო გლეხის გაუნათლებელი ბიჭი კი არა, არამედ უდიდესი მათემატიკური ნიჭით დაჯილდოებული ბავშვი-საოცრება, ვუნდერკინდი მოიანზრება. იმდენად დიდია ცნობილი მათემატიკოსის გვარის — არქიმედის მეტაფორიზაციის კონოტაციურ-აქსიოლოგიური ინფორმაციულობა, რომ ავტორს იგი გამოაქვს მოთხრობის სიმბოლურ სათაურად, რომელშიც კონდენსირებულად არის რეალიზებული მისი მხატვრულ-ესთეტიკური ჩანაფიქრი ნაწარმოების კონცეპტუალურ შინაარსთან მიმართებაში.

მეტაფორიზებული ანთროპონიმების ინფორმაციულობა ქვეტექსტის სახით არის ჩადებული ტექსტში. იგი კონტექსტური და ფონური ცოდნის სახით არსებული ასოციაციურ-ინფორმაციული პლანების თანადროული რეალიზების შედეგად წარმოიქმნება, რის გამოც მისი ადეკვატური აღქმა რთულ აზრობრივ პროცესს წარმოადგენს, რომელიც ადრესატის (მკითხველის) შესაბამის სოციო-კულტუროლოგიურ ფონურ ცოდნას მოითხოვს.

კიდევ უფრო იზრდება კულტურული ფონური ცოდნის როლი ალუზიურ ანთროპონიმთა მეტაფორიზაციისას, როდესაც ავტორი მსჯელობის საგნის ხატოვანი დახასიათებისა თუ იდენტიფიკაციისათვის გამოიყენებს ბიბლიური, მითოლოგიური, ფოლკლორული ან ლიტერატურული პერსონაჟების სიმბოლოდ ქცეულ საკუთარ სახელებს.

სიმბოლოდ ქცეული ბევრი ანთროპონიმი ანბანური თანმიმდევრობით არის სხვა სიტყვებთან ერთად შეტანილი განმარტებით ლექსიკონებში. ასეთი საკუთარი სახელის დეფინიცია ინკლუზური ხასიათისაა, რადგანაც მასში ექსპლიციტებულია არა მხოლოდ შესაბამისი კონცეპტუალური მნიშვნელობა, არამედ მოცემულია ინფორმაცია კონკრეტული რეფერენტული პიროვნების იმ ინდივიდუალურ-ანთროპოლოგიური მახასიათებლების შესახებ, რომლებიც საკუთარი სახელის განზოგადების მოტივაციად გვევლინება. საილუსტრაციოდ მოვიყვანო რამოდენიმე მაგალითს Chamber's 20-th Century Dictionary-დან (5):

Judas - n. one who betrays, esp. under the guise of friendship

[Judas Iscariot - the apostle who betrayed Christ].

Cain - Adam's son, murderer of Abel; hence allusively a murderer of one's own brother.

ალუზიურ ანთროპონიმთა როგორც საკუთარ მეტყველებაში აქტუალიზება, ასევე მის შედეგად წარმოქმნილი მხატვრულ-ესთეტიური ქვეტექსტის აღქმა დინამიური და რთული გონებრივი პროცესია, რომელიც ალუზირებულ წყაროში მოცემული ინფორმაციის ცოდნას მოითხოვს. განვიხილოთ ტექსტობრივი ფრაგმენტი ჯ. გოლზუორთის რომანიდან "მესაკუთრე"(7):

"Irene began to play Chopin again. This time the resemblance between her and "Chopin" struck Old Jolyon. The swaying, he had noticed in her walk, was in her playing too. Seductive, yes; but **nothing of Dalilah in her or in that music.**"

(Galsworthy J., "The Man of Property," p.332)

საილუსტრაციოდ მოყვანილ ნაწყვეტში ორი მეტაფორიზებული ანთროპონიმი გვხვდება. მათგან "შოპენი" მეტონიმიურად არის გამოყენებული ამ კომპოზიტორის მიერ შექმნილი ნაწარმოების აღსანიშნავად, რითაც შემოიფარგლება კიდევ მისი ინფორმატულობა ტექსტში. მაგრამ მეორე ანთროპონიმი — "დალილა", უკვე მეტაფორიზებულ ალუზიას წარმოადგენს, რომლის საშუალებითაც ავტორი ემოციურ-ექსპრესიულ ფერებში გვიხატავს მოხუცი ჯოლიონის მიერ აირინისა და შოპენის მუსიკის სუბიექტურ-პოეტურ აღქმა-დახასიათებას. ბიბლიის თანახმად, დალილა ფილისტინელი კურტიზანი ქალია, რომელმაც სამსონს უღალატა. შემდგომში ამ ანთროპონიმმა სიმბოლური მნიშვნელობა შეიძინა და იგი დღესაც მათაფორულად გამოიყენება მაცდური ქალის ხატოვანი დახასიათებისათვის, მის აღსანიშნავად. ეს ბიბლიური სახელი მეტაფორიზებული მნიშვნელობით ინგლისური ენის განმარტებით ლექსიკონებშიც არის მოცემული. მაგალითად, "Chamber's 20-th Century Dictionary" (5) ამ სიტყვის დეფინიციას ასე გვთავაზობს:

Dalilah - the Philistine woman who befooled Samson; hence a courtesan, a temptress, an alluring object.

დალილა - ფილისტინელი ქალი, რომელმაც სამსონი გააბრიალა; აქედან კურტიზანი, მაცდური, მაცდუნებელი ობიექტი.

ჯ. გოლზუორთიდან აღებულ ნაწყვეტში ეს ინფორმაცია ქვეტექსტის სახით არის ტექსტში ჩადებული და მისი ამოკითხვა ადრესატის მიერ ალუზირებული წყაროს ცოდნას ითვალისწინებს. შეიძლება, ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ ამ ნაწარმოების ქართულ თარგმანში(2), რომელიც ე. ძალბაძეს ეკუთვნის, თავად ტექსტში არის ექსპლიციტრებული ინგლისურ ორიგინალში "დალილას" ალუზიურ-მეტაფორული გამოყენებით წარმოქმნილი ქვეტექსტი:

"ისევ დაუკრა აირინმა შოპენი. ახლა მოხუცი ჯოლიონი აირინსა და შოპენის მუსიკას შორის მსგავსებას შესძრა. მსუბუქი რხევა, რომელიც სიარულის დროს შენიშნა აირინს, იგრძნობოდა აგრეთვე მის დაკვრაში. ღიახაც რომ მომაჯადოებელი იყო, მაგრამ არც მუსიკასა და არც თვითონ აირინში დალილას მაცდური სული არ გამოსჭვიოდა."

(ჯ. გოლზუორთი, "მესაკუთრე", გვ.444)

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მეტაფორიზებული ანთროპონიმებისთვის პირველადია პრედიკაციის ფუნქცია, რომლის დანიშნულებასაც მეტყველი სუბიექტის მიერ მსჯელობის საგნის ესთეტიურ-ხატოვანი დახასიათება წარმოადგენს. ემპირიული მასალის განზოგადება გვიჩვენებს, რომ ნაკლებად გვხვდება შემთხვევები, როდესაც ალუზიური საკუთარი სახელები იდენტიფიკატორებად გვევლინება. მათი ასეთი ფუნქციონირება კვლავ ავტორის აქსიოლოგიურ-შემეცნებითი მოდალობის მატარებელია, რომელიც კონტექსტური ინფორმაციისა და მისი კულტუროლოგიური ფონური ცოდნის ასოცირებული თანხვედრისგან იქმნება. თვალსაჩინოებისთვის გაუანალიზებთ ნაწყვეტს ფ. სკოტ ფიცჯერალდის ცნობილი მოთხრობიდან "The Diamond As Big As The Ritz"(6), რომელიც მცირე შემოკლებებით მოგვყავს:

"It was long after four when John became aware of footsteps along the path and he waited in breathless silence until the persons to whom they belonged had passed the vantage point he occupied. Then he lifted his head. His curiosity was rewarded; this was what he saw:

Braddock Washington was standing there motionless without sound or sign of life. After a while he lifted his head and slowly raised his arms in a gesture of attention, as one who would call a great crowd to hear - but there was no crowd, only the vast silence of the mountain and the sky, broken by faint bird voices down among the trees. Then **the white man** began to speak ponderously and with inextinguishable pride. ... Could **Washington** be praying? John listened breathlessly, catching a phrase here and there. Then a realization crept over him. **Braddock Washington** was offering a bribe to God!

That was it - there was no doubt. The diamond in the arms of his slaves was some advance sample, a promise of more to follow.

That, John perceived after a time, was the thread running through his sentences. **Prometheus Enriched** was calling to witness forgotten sacrifices, forgotten rituals, prayers obsolete before the birth of Christ, reminding God of

this gift or that which Divinity had deigned to accept from men. And now he, Braddock Washington, Emperor of Diamonds, would offer up a treasure, the greatest diamond in the world.”

(F. Scott Fitzgerald, “The Diamond As Big As The Ritz”, pp.65-66)

მოცემულ ტექსტობრივ ფრაგმენტში აღწერილია, თუ როგორ სთავაზობს ნაწარმოების მთავარი პერსონაჟი, ბრედოკ ვაშინგტონი ღმერთს ქრთამის სახით აღმასის დიდ ლოდს. ბოლო აბზაცში ამ მოქმედი პირის იდენტიფიკაციას ავტორი ახორციელებს მეტაფორიზებული აღუზიური ანთროპონიმით “გამდიდრებული პრომეთე”, რომლის მიღმაც უაღრესად ტევადი, შეფასებითი ხასიათის ესთეტურ-შემეცნებითი და გამომხატველობითი ქვეტექსტია ჩადებული. მისი აღქმა შეუძლებელია კონტექსტური ინფორმაციის და აღუზიებული წყაროს ცოდნის გარეშე. მკითხველისთვის უკვე ცნობილია, რომ ბრედოკ ვაშინგტონი შეერთებული შტატების უმდიდრესი და ყოვლისშემძლე ადამიანია, რადგან იგი საი ღუმლოდ ფლობს აღმასის მთას, რომელსაც იგი დღედაღამ სდარაჯობს. სწორედ ამ მთის გამო ავტორის ცნობიერებაში იგი კავკასიონის მთაზე მიჯაჭვულ პრომეთესთან ასოცირდება. მითოლოგიის მიხედვით, პრომეთე იყო უგონიერესი ტიტანი, რომელმაც ზევსს ციდან ცეცხლი მოსტაცა ხალხის საკეთილდღეოდ, რის გამოც ამ უკანასკნელმა გმირი დასაჯა. ზევსის ბრძანებით პრომეთე კავკასიონის მაღალ მთაზე მიჯაჭვეს და მკერდში დიდი სამჭვალავე ჩაასვეს. ყოველ დღილით არწივი მას გულ-ღვიძლს უკორტნიდა, რომელიც ღამით ისევ უმთელდებოდა (1, 425). პრომეთეს სახელის მეტაფორიზაციით ავტორი ახდენს ბრედოკ ვაშინგტონის ექსპრესიულ-ემოციურ ხატოვნურ იდენტიფიკაციას, რის შედეგადაც იქმნება ქვეტექსტური ინფორმაციით გამდიდრებული მისი მიფო-პოეტური სახე, რომელშიც ავტორის მისდამი დამოკიდებულების ირონიული მოდუსი გამოსჭვდის. ბრედოკ ვაშინგტონის პრომეთესთან გაიგივების ირონიულობა კონტრასტზეა დამყარებული, რადგან კონტექსტიდან უკვე ცნობილია, რომ იგი სასიკვდილოდ იმეტებს ნებისმიერ ადამიანს, მათ შორის საკუთარი შვილების მეგობრებსაც კი, აღმასის მთის საკუთარ მფლობელობაში შენარჩუნების მიზნით. ირონიას კიდევ უფრო ამძაფრებს პრომეთეს ძირითადი მახასიათებელი მსახვერულის “მიჯაჭვული” (“Prometheus Bound”) შეცვლა უარყოფით-აქსიოლოგიური კონოტაციის მქონე ეპითეტი “გამდიდრებული” (“Prometheus Enriched”), რითაც კიდევ ერთხელ ესმება ხაზი კონტექსტის ფაქტორს ანთროპონიმთა მეტაფორიზაციის პროცესში. ვიმედოვნებთ, რომ ზემოგამოთქმული მოსაზრებებითა და ემპირიული მასალის ანალიზით ჩვენ შევძელით არგუმენტირებულად წარმოგვეჩინა როგორც ანთროპონიმთა მეტაფორიზაციის ფენომენის ენობრივ-კულტურული და პრაგმატიკული არსი, ასევე მისი ინფორმატულობის თავისებურებები ტექსტში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აკ. გელგანი: მითოლოგიური ლექსიკონი, თბილისი, 1983.
2. ჯ. გოლზვორთი: “მესაკუთრე“, თბილისი, 1975.
3. ნ. კირვალძე, ნ. ინაური: ანთროპონიმთა სემიოლოგიური ტიპოლოგია თანამედროვე ინგლისურ ენაში. In: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე 160, #3, 1999.
4. С. Крипке: Тожество и необходимость. В кн.: Новое в зарубежной лингвистике, вып. XIII, М.: «Радуга», 1982, с.340-375.
5. Chamber's 20-th Century Dictionary. The Chaucer Press, 1983.
6. F. S. Fitzgerald: “The Diamond As Big As The Ritz”, Moscow, 1979.
7. J. Galsworthy: “The Man of Property”, Moscow, 1974.
8. A. Huxley: “Young Archimedes”. In: Modern English Short Stories, Moscow, 1976.

Nino Kirvalidze

Metaphorization of Anthroponyms as Linguo-Cultural Phenomenon and Their Informativeness in the Text

Summary

The article deals with the complex study of metaphorization of anthroponyms via communicative-intersubjective approach to language phenomena. This approach enabled us to reveal psycholinguistic and pragmatic peculiarities of this process as well as its socio-cultural features. The paper focuses on the informativeness of the metaphorization of anthroponyms that reflects the author's aesthetic-cognitive and poetical ability in creating artistic imagery.